ყველაზის ლაგე

ყადირის ღამე

დიდება ალლაჰს, სალამი და მშვიდობა იყოს მის რჩეულ მსახურებზე. რამადანის თვე შედგება დღეებისაგან და ღამეებისგან. რამადანში მარხვის სრულყოფისთვის საკმარისი არ არის დღისით საკვებზე და სასმელზე უარის თქმა, მუსლიმანმა ღამითაც უნდა ერიდოს აკრძალულის ჩადენას. რამადანის თვეში არის ღამე, რომელ ღამესაც თუ შევხვდებით თაყვანისცემით, ალლაჰის ნებით და წყალობით გექნებათ უდიდესი ჯილდო. ჩვენ კი ვთხოვთ ალლაჰს, რომ გაგვხადოს ღირსი დავიმსახუროთ ყადირის ღამეს ნალოცით ჯილდო. ყადირის ღამის შესახებ უზენაესი ალლაჰი ამბობს, რომ იგი არის ათას თვეზე (80-83 წელი) უკეთესი.

ყადირის ღამე ათას თვეზე უკეთესია!
(სურა ყადირ 97:3)

სხვა აიათში კი ალლაჰი ყადირის ღამეს დალოცვილ ღამეს უწოდებს:

ჭეშმარიტად, ზეგარდმოვავლინეთ იგი დალოცვილ (ყადირის) ღამეს, და ჭეშმარიტად, ჩვენ ვართ შემგონებელნი.
(სურა დუჰან 44:3)

სწავლულები ყადირის ღამეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდმნენ. იბნ ალ ყაიმმა (რაჰიმაჰულლაჰ) თქვა: "ყადირის ღამე რომ მოდიოდეს წელიწადში ერთხელ და არ ვიცოდე როდის იქნება ეს ღამე, აუცილებლად შევასრულებდი ღამის ლოცვებს მთელი წლის განმავლობაში, რომ შევხვედროდი ამ ღამეს, და რა

შეიძლება ვთქვათ რამადნის ბოლო ათ ღამეზე?!" (ბადაიი ალ-ფავაიიდ ნაწილი I გვერდი 55)

იბნ რაჯაბმა ალლაჰმა შეიწყალოს იგი თქვა: "ჰეი შენ, რომელმაც გაფლანგე და ფუჭად გალიე შენი ცხოვრების წლები, ვერაფერი აგინაზღაურებს გაფლანგულ და ფუჭად გატარებულ წლებს გარდა ყადირის ღამის, უეჭველად, ყადირის ღამე მთელი ცხოვრების ტოლფასია." (ლატაიფ ალ-მარაფი გვ 191)

ყადირის ღამეს ლოცვის შესახებ

1. აბუ ჰურაირა გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: "ვინც იმარხა რამადანის თვეში გულწრფელი რწმენით და ალლაჰისაგან ჯილდოს იმედით, ეპატიება წარსულში ჩადენილი ყველა ცოდვა, და ვინც დადგება სალოცავად ყადირის ღამეს გულწრფელი რწმენით და ალლაჰისაგან ჯილდოს იმედით, ეპატიება წარსულში ჩადენილი ყველა ცოდვა." (ბუხარი 2014)

2. ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: "მოვიდა თქვენთან რამადანის თვე, კურთხეული თვე, რომელშიც უზენაესმა ალლაჰმა თქვენ მარხვა დაგავალათ. ამ თვეში იხსნება ზეცის (ე.ი სამოთხის) კარიბჭე, ხოლო ჯოჯოხეთის კარი იკეტება, და შაიტნები მიჯაჭვულნი არიან. მასში არის ღამე (ყადირის ღამე), რომელიც ათას თვეზე უკეთესია. ის, ვინც, მოკლებულია მის სიკეთეს - მოკლებულია ჭეშმარიტებას." (ნასაი 2106)

3. აიშა გადმოსცემს: "რამადანის ბოლო ათი დღის დაწყებასთან ერთად, შუამავალმა შემოიჭირა ქამარი და

ლოცულობდა ყოველ ღამე, ასევე აღვიძებდა მის ოჯახს სალოცავად.” (ბუხარი 2024)

4. ურვა იბნ აზ-ზუბაირი გადმოსცემს, რომ აიშამ უთხრა მას: “ალლაჰის შუამავალი, არა ბრძანებლური, არამედ წამახალისებელი ტონით ეუბნებოდა ხალხს, რომ ელოცათ ღამით რამადანში (ე.ი თარავი). შუამავალმა უთხრა მათ: ვინც რამადანის ღამეებს ლოცვაში გაატარებს ჯილდოს იმედით, მას მიეტევება წარსულში ჩადენილი ყველა ცოდვა.” (ნასაი 2192)

როდის არის ყადირის ღამე?

1. აიშა (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) გადმოსცემს: „ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) შეასრულა ი'თიქაფი რამადანის ბოლო ათ ღამეს და თქვა - ეძებეთ ყადირის ღამე რამადანის ბოლო ათ ღამეში.“ (ბუხარი 2020)

2. იბნ უმარი გადმოსცემს: შუამავლის საჰაბეებს შორის რამდენიმე კაცმა ნახა სიზმარში, რომ ყადირის ღამე იყო რამადანის ბოლო შვიდ ღამეში. ალლაჰის შუამავალმა თქვა: „როგორც ჩანს თქვენგან ყველას სიზმარი ეთანხმება იმას, რომ ყადირის ღამე არის ბოლო შვიდ ღამეში, და ვისაც სურს ეძებოს (ის ღამე), ეძებოს ბოლო შვიდ ღამეში.“ (ბუხარი 2015)

3. იბნ აბბასი გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: „ეძებეთ ყადირის ღამე რამადანის ბოლო ათ ღამეში, იმ ღამეებში, როცა ცხრა ან ხუთი ღამეა დარჩენილი ბოლო ათი ღამიდან.“ (ე.ი 21,23,25) (ბუხარი 1917)

4. იბნ აბბასი ასევე გადმოსცემს: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: „ყადირის ღამე არის რამადანის

ბოლო ათ ღამეში, ან პირველ ცხრა ღამეში ან ბოლო შვიდ ღამეში.“ (ბუხარი 1918)

5. უბადა იბნ სამითი გადმოსცემს: ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) გამოვიდა გარეთ, რომ ეცნობებინა ხალხისთვის ყადირის ღამის შესახებ, მაგრამ ამ დროს მოხდა ჩხუბი ორ მუსლიმან კაცს შორის. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: „მე გამოვედი გარეთ, რომ მეცნობებინა ყადირის ღამის (ზუსტი დროის) შესახებ, მაგრამ ამან და ამან იჩხუბა და მისი ცოდნა გაქრა (ე.ი დამავიწყდა) და შეიძლება ეს უფრო სასიკეთო იყოს თქვენთვის. ახლა კი ეძებეთ ის მეშვიდე, მეცხრე და მეხუთე ღამეს“ (ე.ი რამადანის ბოლო ათ ღამეში) (ბუხარი 49)

6. ლაჰიყ იბნ ჰამიდმა და იქრიმმა გადმოსცეს: უმარმა ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი თქვა: ვინ იცის, როდის არის ყადირის ღამე? საჰაბეებმა თქვეს: იბნ აბბასმა გადმოსცა, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: „ყადირის ღამე არის რამადანის ოცდაშვიდში ან ოცდასამში.“ (მუსნად აჰმად 2543)

7. მუავიამ გადმოსცა, რომ შუამავალმა ალლაჰის ლოცვა და სალამი მას თქვა: „ყადირის ღამე არის რამადანის ოცდამეშვიდე ღამეს.“ (საჰიჰ ალ-ჯამი 1240)

8. მუავიამ ასევე გადმოსცა: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ასევე თქვა: „ეძებეთ ყადირის ღამე რამადანის ბოლო ღამეს.“ (იბნ ხუზაიმა 2189)

9. აბდულლაჰ იბნ უნაისმა გადმოსცა, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: „ეძებეთ ყადირის ღამე რამადანის ოცდამესამე ღამეს.“ (საჰიჰ ალ-ჯამი 2923)

10. აბდულლაჰ იბნ აბბასმა გადმოსცა, რომ ერთმა კაცმა უთხრა შუამავალს: „ალლაჰის შუამავალო! მე მოხუცი კაცი ვარ და (ლოცვის დროს) დგომა მიჭირს. მიმითითე ღამით დგომაზე, რათა ალლაჰმა შემახვედროს ყადირის ღამეს.“ შუამავალმა უთხრა მას: „დადექი სალოცავად ოცდამეშვიდე ღამეს. (მუსნად 2149)

11. მან ასევე გადმოსცა: ვიღაც მოვიდა ჩემთან სიზმარში რამადანის დროს და მითხრა: „ამაღამ ყადირის ღამეა.“ მე წამოვდექი, თუმცა მეძინებოდა, მივედი ალლაჰის შუამავალთან და ვნახე ლოცულობდა. მე შევხედე რათა მენახა რომელი ღამე იყო, და ვნახე რომ ოცდამესამე ღამე იდგა. (აჰმად მუსნად 2302)

12. იბნ უმარი გადმოსცემს: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: „ეძებეთ ყადირის ღამე რამადანის ბოლო ათ ღამეში ან ცხრა ღამეში.“ (აჰმად მუსნად 4925)

13. აბუ ჰურაირა გადმოსცემს: ჩვენ ვახსენეთ ყადირის ღამე შუამავლის წინ და მან გვითხრა: „ამ თვის რამდენი გავიდა?“ ჩვენ ვუთხარით: „ოცდაორი დღე და დარჩენილია რვა.“ შუამავალმა გვითხრა: „არა, ოცდაორი გავიდა და დარჩა შვიდი, რადგან თვე არის ოცდაცრა დღე, ასე რომ (ყადირის ღამე) ეძებეთ ამაღამ.“ (აჰმად მუსნად 5485)

ყადირის ღამის ნიშნები

1. უბადა ას-სამითისგან გადმოცემულია, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: „ყადირის ღამის ნიშნებია ის, რომ ეს ღამე სუფთა და ნათელია, და მთვარე ნათელია. ის ღამე ჩუმი და მშვიდია, არც სიცივეა, არც სიცხეა. ამ

ღამეს ვარსკვლავები გათენებამდე არ გადაიყრება. კიდევ ერთი ნიშანია ის, რომ როცა დილით მზე ამოვა, არ ასხივებს, და მთვარესავითაა...“ (აჰმად 5:324, თაფსირ იბნ ქასირ 4:255)

2. აბუ ჰურაირა გადმოსცემს: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა ყადირის ღამის შესახებ: „ის არის ოცდამეშვიდე ან ოცდამეცხრე ღამეს. ანგელოზები იმ ღამით, დედამიწაზე არსებულ კენჭებზე ბევრნი არიან“ (იბნ ხუზაიმა 2193)

3. ჯაბირი გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: „მე დავინახე ყადირის ღამე და დამავიწყდა. ის არის რამადანის ბოლო ათ ღამეში. ის არის მშვიდი ღამე, არც ცხელა და არც ცივა, ის ღამე არის მთვარიანი და ვარკვლავები ჩანს. შაიტნები კი დილამდე არ განთავისუფლდებიან.“ (იბნ ჰიბბან 3688)

ვედრება ყადირის ღამეს

ალლაჰუმმა ინნაქა, 'აფუვვუნ, თუჰიბბულ 'აფვუ ფა'ფუ 'ანნი
ღმერთო ჩემო! ჭეშმარიტად, შენ მიმტევებელი ხარ, მიტევება
გიყვარს. გთხოვ მეც მაპატიო.
(თირმიზი 2882)

შეჯამება

სანდო ჰადისების საფუძველზე დასტურდება, რომ ყადირის ღამე არის ბოლო ათ ღამეში. უკეთესია ერთ კონკრეტულ დღეს არ

დაველოდოთ და ვილოცოთ რამადანის ბოლო ათი ღამე. ასე უფრო სასურველია და დიდია ალბათობა რომელიმე ღამეს დავემთხვეთ. აიშა გადმოსცემს,რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ,,ეძებეთ ყადირის ღამე რამადანის ბოლო ათი დღის, კენტ ღამეებში. (ბუხარი 2017) და ალლაჰმა უკეთ იცის.